

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. კომპანია და მისი საქმიანობა	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები	16
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)	17
5. შემოსავალი	18
6. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	18
7. საწვავის ხარჯი	18
8. იჯარის ხარჯი	18
9. მივლინების ხარჯი	18
10. ცვეთა და ამორტიზაცია	18
11. საკონსულტაციო ხარჯი	19
12. გაუფასურების ზარალი	19
13. ფინანსური ხარჯი	19
14. სხვა შემოსავლები	19
15. სხვა ხარჯები	19
16. მოგების გადასახადი	20
17. ძირითადი საშუალებები	21
18. აქტივი გამოყენების უფლებით	22
19. მარაგები	23
20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
21. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
22. გაუნაწილებელი მოგება	23
23. საიჯარო ვალდებულება	24
24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
25. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	24
26. ფინანსური რისკების მართვა	25
27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	27
28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი	5	9,311,508	4,586,076
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	6	(4,264,679)	(2,007,410)
საწვავის ხარჯი	7	(495,880)	(246,517)
იჯარის ხარჯი	8	(329,306)	(201,493)
მივლინების ხარჯი	9	(183,405)	(65,622)
ცვეთა და ამორტიზაცია	10	(181,538)	(30,499)
საკონსულტაციო ხარჯი	11	(131,009)	(29,343)
სატრანსპორტო ხარჯი		(81,942)	(30,966)
გაუფასურები ზარალი	12	(54,364)	(8,462)
ფინანსური ხარჯი	13	(11,257)	-
ზარალი საკუროსო სხვაობიდან, წმინდა		(4,205)	-
სხვა შემოსავლები	14	21,465	1,173
სხვა ხარჯები	15	(253,358)	(125,111)
მოგება დაბეგვრამდე		3,342,030	1,841,826
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(216,438)	(150,196)
წმინდა მოგება		3,125,592	1,691,630
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		3,125,592	1,691,630

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე

გენერალური დირექტორი

ნატო მაღრაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	17	556,303	224,439
არამატერიალური აქტივები		336	420
აქტივი გამოყენების უფლებით	18	173,203	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		729,842	224,859
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	19	32,577	13,471
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	2,443,538	716,202
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	1,373,478	730,827
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,849,593	1,460,500
სულ აქტივები		4,579,435	1,685,359
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	22	3,096,243	1,197,130
სულ კაპიტალი		3,096,243	1,197,130
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	23	76,534	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,534	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	1,168,937	104,935
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	25	138,310	383,294
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	23	99,411	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,406,658	488,229
სულ ვალდებულებები		1,483,192	488,229
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,579,435	1,685,359

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე
გენერალური დირექტორი

ნატო მაღრაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	356,569	356,569
წლის სრული შემოსავალი	1,691,630	1,691,630
გადახდილი დივიდენდი	(851,069)	(851,069)
31 დეკემბერი, 2018	1,197,130	1,197,130
წლის სრული შემოსავალი	3,125,592	3,125,592
გადახდილი დივიდენდი	(1,226,479)	(1,226,479)
31 დეკემბერი, 2019	3,096,243	3,096,243

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე

გენერალური დირექტორი

ნატო მაღრაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		3,342,030	1,841,826
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	181,538	30,499
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	12	54,364	-
ფინანსური ხარჯი	13	11,257	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		2,473	-
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	14	(261)	-
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	15	937	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		3,592,338	1,872,325
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში		(19,106)	(10,727)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,765,012)	(486,390)
ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში		1,064,002	88,410
(შემცირება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში		(323,719)	306,049
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადისა და პროცენტების გადახდამდე:		2,548,503	1,769,667
გადახდილი პროცენტები		(11,257)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(139,920)	(150,196)
ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		2,397,326	1,619,471
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(437,037)	(145,115)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(420)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(437,037)	(145,535)
საფინანსო საქმიანობა			
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(84,213)	-
დივიდენდის გადახდა		(1,226,479)	(851,069)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში		(1,310,692)	(851,069)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		649,597	622,867
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(6,946)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	21	730,827	107,960
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	21	1,373,478	730,827

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე

გენერალური დირექტორი

ნატო მაღრაძე

მთავარი ბუღალტერი

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 2016 წლის 2 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 400165405. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ყაზბეგის ჩიხი, N32/34. კომპანიის ხელმძღვანელია იოვანე სიხარულიძე.

კომპანია წარმოადგენს A ტიპის აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოს, რომელიც აკრედიტირებულია სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო, აკრედიტაციის ცენტრი“-ს მიერ SST ISO/IEC 17020: 2012/2013 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღიარებულია აკრედიტაციის გენერალური ასამბლეის მიერ. კომპანია ინფრასტრუქტურული სამშენებლო სფეროს ყველა სექტორში მოღვაწეობს.

კომპანიის ძირითადი ინსპექტირების სფეროებია:

- ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება;
- ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება;
- ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება;
- ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება;
- ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება;
- სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობის, ნაგებობის, ხიდების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობის) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% იანი წლის მფლობელია ზვიად ასათიანი.

2. მომზადების საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც მოხდა ფასს 16 „იჯარის“ გამოყენება. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება აღწერილია შენიშვნა 3-ში „სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების“ ნაწილში.

თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და საჭიროების შემთხვევაში როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 28) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2019	2018
1 USD/GEL	2.8192	2.5345
1 EUR/GEL	3.1553	2.9913

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე ალიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს ალიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციური დაბალანსების კორექტირებას საწყის ბალანსზე ალიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე ალიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები ალიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 8%-ს.

კომპანიამ გამოიყენა წარული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან

ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს კომპანია ფინანსურ აქტივებს მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქტზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება;
- ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (“ECL”) გამოსათვლელად.

შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნების დარეზერვებისთვის გამოყენებული მატრიცა:

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	> 180 დღე
რეზერვი %	2%	5%	25%	50%	100%

დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 26-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-12 შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატივულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების და არამატერიალური აქტივების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, გაუფასურებული აქტივის ჩამოფასება ხდება უმაღლეს თანხამდე შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე და საინვესტიციო ქონებაზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის პროდუქტზე საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.

კომპანიამ მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე კომპანია ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანაგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ

მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარე უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარე მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხო მსჯელობები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია კომპანიის გაუფასურების რეზერვები მოცემულია შენიშვნა 17-ში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

მარაგების შეფასება

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

იჯარის გაგრძელების უფლება

როდესაც საწარმოს აქვს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს, საკმარისად სარწმუნო იქნება თუ არა ამ უფლების გამოყენება. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტს და გარემოებას, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც გაწეული იქნება აქტივის შესაცვლელად, თუ ეს უფლება არ იქნება გამოყენებული, რაც მათ დაეხმარება საიჯარო პირობების განსასაზღვრად. ხელმძღვანელობა თვლის რომ მათი შეფასება ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ადეკვატურია.

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

5. შემოსავალი

	2019	2018
იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტები	4,003,020	2,653,199
კახეთის მხარის მუნიციპალიტეტები	2,908,453	1,322,931
სხვა კერძო კომპანიები	2,400,035	609,946
სულ შემოსავალი	9,311,508	4,586,076

2019 და 2018 წლებში კომპანიამ შემოსავალი გამოიმუშავა ინსპექტირების მომსახურებიდან.

6. თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასები	3,218,796	1,908,835
წლიური ბონუსები	1,019,125	90,875
დაზღვევა	26,758	7,700
სულ თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	4,264,679	2,007,410

7. საწვავის ხარჯი

კომპანიას საწვავის ხარჯი ძირითადად წარმოექმნება ექსპერტების სხვადასხვა ობიექტზე სატრანსპორტო გადაადგილების მიზნით დაქირავებულ ავტომობილებზე, საწვავის ხარჯმა 2019 წელს შეადგინა 495,880 ლარი (2018 – 246,517 ლარი)

8. იჯარის ხარჯი

	2019	2018
ავტომობილის იჯარის ხარჯი	267,575	117,433
ოფისის იჯარის ხარჯი	61,731	84,060
სულ იჯარის ხარჯი	329,306	201,493

9. მივლინების ხარჯი

კომპანიას 2019 წელს ძირითადი პროექტები ჰქონდა იმერეთისა და კახეთის რეგიონში, შესაბამისად ამან გამოიწვია მივლინების არსებითი ხარჯი 183,405 ლარის ოდენობით (2018 – 65,622 ლარი)

10. ცვეთა და ამორტიზაცია

	2019	2018
აქტივი გამოყენების უფლებით ამორტიზაცია	92,996	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	88,456	30,499
არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია	86	-
სულ ცვეთა და ამორტიზაცია	181,538	30,499

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

11. საკონსულტაციო ხარჯი

	2019	2018
იურიდიული მომსახურების ხარჯი	109,270	23,887
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	10,125	1,974
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	6,414	2,024
თანამშრომლების გადამზადების ხარჯი	5,200	1,458
სულ საკონსულტაციო ხარჯი	131,009	29,343

12. გაუფასურების ზარალი

	2019	2018
გაუფასურების რეზერვი, 1 იანვრის მდგომარეობით	(9,167)	(705)
წლის დარიცხვა	(54,364)	(8,462)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	(63,531)	(9,167)

13. ფინანსური ხარჯი

2019 წელს კომპანიის ფინანსური ხარჯი იყო 11,257 ლარი, რომელიც შედგება საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან (2018 – ნული ლარი)

14. სხვა შემოსავლები

2019 წელს შემოსავალმა შეადგინა 21,465 ლარი და ძირითადად შედგება საპენსიო სააგენტოსგან დაბრუნებული თანხებისგან, რომლებიც გადახდილი იყო კომპანიის მიერ თანამშრომლების სახელით და ასევე ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ მოგებას* (2018 წელი - 1,173 ლარი)

	2019	2018
* შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	11,500	-
გაყიდული ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება	(11,239)	-
წმინდა მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	261	-

15. სხვა ხარჯები

	2019	2018
საოფისე და საკანცელარიო ხარჯები	86,430	30,657
კომუნიკაციის ხარჯი	63,855	37,372
საბანკო ხარჯები	50,961	36,206
კომუნალური ხარჯი	25,459	11,768
დაზღვევის ხარჯი	10,076	-
ჯარიმა	3,714	-
ქონების გადასახადი	3,968	1,562
საქველმოქმედო საქმიანობის დაფინანსება	7,958	7,546
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	937	-
სულ სხვა ხარჯები	253,358	125,111

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ

ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგინა 216,438 ლარი (2018 – 150,196 ლარი).

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

17. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ ჯამი
ღირებულება							
1 იანვარი, 2018	11,339	38,609	16,365	18,229	33,295	-	117,837
შეძენა	10,105	66,955	19,877	31,630	-	16,548	145,115
31 დეკემბერი, 2018	21,444	105,564	36,242	49,859	33,295	16,548	262,952
შეძენა	35,656	117,655	22,378	226,743	34,604	-	437,036
ტრანსფერი	-	-	-	-	16,548	(16,548)	-
გაყიდვა	-	-	-	(12,882)	-	-	(12,882)
ჩამოწერა	-	(1,227)	-	-	-	-	(1,227)
31 დეკემბერი, 2019	57,100	221,992	58,620	263,720	84,447	-	685,879
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2018	(1,372)	(2,761)	(937)	(666)	(2,278)	-	(8,014)
ცვეთის ხარჯი	(3,206)	(12,730)	(4,451)	(5,459)	(4,653)	-	(30,499)
31 დეკემბერი, 2018	(4,578)	(15,491)	(5,388)	(6,125)	(6,931)	-	(38,513)
ცვეთის ხარჯი	(6,035)	(30,750)	(8,692)	(25,911)	(21,608)	-	(92,996)
გაყიდვა	-	-	-	1,643	-	-	1,643
ჩამოწერა	-	290	-	-	-	-	290
31 დეკემბერი, 2019	(10,613)	(45,951)	(14,080)	(30,393)	(28,539)	-	(129,576)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2018	16,866	90,073	30,854	43,734	26,364	16,548	224,439
31 დეკემბერი, 2019	46,487	176,041	44,540	233,327	55,908	-	556,303

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

18. აქტივი გამოყენების უფლებით

	თბილისის ოფისი	ქუთაისის ოფისი 1	ქუთაისის ოფისი 2	ჩოხატაურის ოფისი	ხარაგაულის ოფისი	ზესტაფონის ოფისი	სულ
ღირებულება							
31 დეკემბერი, 2018	-	-	-	-	-	-	-
ფასს 16-ის დანერგვის ეფექტი	40,696	14,862	41,704	23,632	-	-	120,894
1 იანვარი, 2019	40,696	14,862	41,704	23,632	-	-	120,894
აქტივების გამოყენების უფლებების მატება	-	-	-	-	60,324	80,441	140,765
31 დეკემბერი, 2019	40,696	14,862	41,704	23,632	60,324	80,441	261,659
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი, 2018	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	(27,131)	(7,431)	(20,852)	(11,816)	(10,054)	(11,172)	(88,456)
31 დეკემბერი, 2019	(27,131)	(7,431)	(20,852)	(11,816)	(10,054)	(11,172)	(88,456)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2018	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი, 2019	13,565	7,431	20,852	11,816	50,270	69,269	173,203

ფასს 16-ის გამოყენებასთან დაკავშირებით, კომპანიამ აღიარა აქტივი გამოყენების უფლებით. კომპანიას იჯარით აღებული აქვს 6 ოფისის ფართი ქვეყნის მასშტაბით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საიჯარო ხელშეკრულებების დარჩენილი ვადა: თბილისის ოფისი - 6 თვე, ქუთაისის ოფისი 1 – 12 თვე, ქუთაისის ოფისი 2 – 12 თვე, ჩოხატაურის ოფისი - 12 თვე, ხარაგაულის ოფისი - 30 თვე, ზესტაფონის ოფისი - 31 თვე. ხელშეკრულებები მოიცავს იჯარის გაგრძელების უფლებას. ქუთაისი ფართი 1-ის საიჯარო ხელშეკრულებით ფიქსირებული გადასახადები წარმოდგენილია აშშ დოლარის ეკვივალენტების ოდენობით ქართულ ლარში, გადახდის დღით არსებული კურსის გამოყენებით, ხოლო დანარჩენი საოფისე ფართების შემთხვევაში ქართულ ლარში. საოფისე ფართის ხელშეკრულებით განსაზღვრულმა ფიქსირებულმა გადახდებმა წლის განმავლობაში ქართულ ლარში შეადგინა: თბილისის ოფისი - 30,475, ქუთაისის ოფისი 1 – 9,044, ქუთაისის ოფისი 2 – 22,500, ჩოხატაურის ოფისი - 12,750, ხარაგაულის ოფისი - 11,250, ზესტაფონის ოფისი - 12,500.

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარიში)

19. მარაგები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგების ნაშთი არის 32,577 ლარი, რომელიც შედგება შესყიდული საწვავის გაუხარჯავი რეზერვებისგან (2018 – 13,471 ლარი).

20. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
სავაჭრო მოთხოვნები	2,464,967	697,482
სხვა მოთხოვნები	-	27,776
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	111
წინასწარ გადახდები	42,102	-
საექვო მოთხოვნების რეზერვი (შენიშვნა 12)	(63,531)	(9,167)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,443,538	716,202

21. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
ფული ბანკში	1,152,259	730,088
ნაღდი ფული სალაროში	1,323	739
შეზღუდული ფულადი სახსრები*	219,896	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,373,478	730,827

*შეზღუდული ფულადი სახსრების შედგება კომპანიის მომსახურე ბანკის მიერ დროებით გაყინულ ფულად სახსრებისგან, რომელიც აუცილებელია კომპანიის მიერ სახელმწიფო ტენდერში მონაწილეობის მიღების უფლების მოსაპოვებლად. ბანკის მიერ შეზღუდვა აღნიშნულ ფულად სახსრებზე სრულად მოიხსნა 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 3 თვის ინტერვალში.

22. გაუნაწილებელი მოგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 0 ლარს (2018 – 0 ლარი), კაპიტალის 100% იანი წილის მფლობელია ზვიად ასათიანი. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიამ გასცა დივიდენდი 1,226,479 ლარის ოდენობით (2018 - 851,069 ლარი).

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

23. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	99,411	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	76,534	-
სულ საიჯარო ვალდებულება	175,945	-

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
თავდაპირველი აღიარებისას	261,659	-
საპროცენტო ხარჯი	11,257	-
გადახდები წლის განმავლობაში	(100,138)	-
საკურსო სხვაობა, წმინდა	3,167	-
ნაშთი წლის ბოლოს	175,945	-

31 დეკემბერი, 2019	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი	სულ
საიჯარო გადახდები	108,900	81,250	190,150
ფინანსური ხარჯი	(9,489)	(4,716)	(14,205)
დღევანდელი ღირებულება	99,411	76,534	175,945

24. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2019	31 დეკემბერი, 2018
მიღებული ავანსები	(1,074,395)	-
სახელფასო ვალდებულებები	(67,402)	(90,979)
სავაჭრო ვალდებულებები	(27,140)	(13,109)
სხვა ვალდებულებები	-	(847)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,168,937)	(104,935)

25. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საგადასახადო ვალდებულებები არის 138,310 ლარი, რომელიც ძირითადად შედგება მოგების გადასახადის ვალდებულებისაგან. (2018 – 383,294 ლარი).

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

26. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულებს ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ქვემოთ წარმოდგენილი კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომელიც დაკავშირებული საკრედიტო რისკთან:

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	2,401,436	716,202
ფული ბანკში	21	1,372,155	730,088
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ფინანსური აქტივები		3,773,591	1,446,290

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება. მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების კომპანიის დონეზე მართვით

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ის ფინანსური აქტივები, რომლებიც დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან:

31 დეკემბერი, 2019			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	478,045	-	478,045
ევრო	51	-	51
სულ	478,096	-	478,096

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალისა მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

31 დეკემბერი, 2019	
	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 30%-ით გამყარება	143,413
ევროს 30%-ით გამყარება	15
აშშ დოლარის 30%-ით გაუფასურება	(143,413)
ევროს 30%-ით გაუფასურება	(15)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო უცხოურ ვალუტაში ნაშთები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანია არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, რადგანაც კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებულ განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

26. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,372,155	-	-	1,372,155
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,401,436	-	-	2,401,436
სულ ფინანსური აქტივები	3,773,591	-	-	3,773,591
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(94,542)	-	-	(94,542)
საიჯარო ვალდებულება	(99,411)	(76,534)	-	(175,945)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(193,953)	(76,534)	-	(270,487)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	3,579,638	(76,534)	-	3,503,104

31 დეკემბერი, 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	730,088	-	-	730,088
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	716,202	-	-	716,202
სულ ფინანსური აქტივები	1,446,290	-	-	1,446,290
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(104,935)	-	-	(104,935)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(104,935)	-	-	(104,935)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	1,341,355	-	-	1,341,355

27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 27-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს: მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი:

- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

სს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

27. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის ანაზღაურება	2019	2018
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა მოკლევადიანი სარგებელი	540,843	288,463

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 8 აპრილს:

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 31.12.2019-19.05.2019 პერიოდის განმავლობაში კომპანიამ ჯამურად გასცა 658,926 ლარის დივიდენდი.
- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, სამშენებლო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანია მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ შეძლოს ბიზნესის უწყვეტობის შენარჩუნება. თუმცა, ჯერ ნაადრევია ზუსტი პროგნოზის გაკეთება თუ რა გავლენა ექნება კრიზისის მის საქმიანობაზე. ასევე, განუსაზღვრელია თუ რა დრო დასჭირდება აღნიშნული კრიზისიდან გამოსვლას, ასეთი გლობალური სახის ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და კორპორატიულ გამოცდილებას მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოვლენის შედეგად გარკვეულ შეზღუდვებზე წასვლა მოუწია კომპანიას, ხელმძღვანელობის შეფასებით საბოლოო ჯამში კომპანიამ წარმატებით გაართვა თავი ამ გამოწვევას და შემოსავლების გაზრდა ბიუჯეტით დაგეგმილ მონაცემებამდე კვლავ მოსალოდენლია, აქედან გამომდინარე ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანია საქმიანობას გააგრძელებს, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი	5	9,311,508	4,586,076
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	6	(4,264,679)	(2,007,410)
საწვავის ხარჯი	7	(495,880)	(246,517)
იჯარის ხარჯი	8	(329,306)	(201,493)
მივლინების ხარჯი	9	(183,405)	(65,622)
ცვეთა და ამორტიზაცია	10	(181,538)	(30,499)
საკონსულტაციო ხარჯი	11	(131,009)	(29,343)
სატრანსპორტო ხარჯი		(81,942)	(30,966)
გაუფასურები ზარალი	12	(54,364)	(8,462)
ფინანსური ხარჯი	13	(11,257)	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(4,205)	-
სხვა შემოსავლები	14	21,465	1,173
სხვა ხარჯები	15	(253,358)	(125,111)
მოგება დაბეგვრამდე		3,342,030	1,841,826
მოგების გადასახადის ხარჯი	16	(216,438)	(150,196)
წმინდა მოგება		3,125,592	1,691,630
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		3,125,592	1,691,630

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე

გენერალური დირექტორი



ნატო მაღრაძე

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-28 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	17	556,303	224,439
არამატერიალური აქტივები		336	420
აქტივი გამოყენების უფლებით	18	173,203	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		729,842	224,859
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	19	32,577	13,471
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	2,443,538	716,202
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	1,373,478	730,827
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,849,593	1,460,500
სულ აქტივები		4,579,435	1,685,359
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	22	3,096,243	1,197,130
სულ კაპიტალი		3,096,243	1,197,130
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	23	76,534	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		76,534	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	1,168,937	104,935
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	25	138,310	383,294
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	23	99,411	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,406,658	488,229
სულ ვალდებულებები		1,483,192	488,229
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		4,579,435	1,685,359

ხელმოწერილია და ნებართვითაა გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე
გენერალური დირექტორი



ნატო მადრაძე
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-28 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	356,569	356,569
წლის სრული შემოსავალი	1,691,630	1,691,630
გადახდილი დივიდენდი	(851,069)	(851,069)
31 დეკემბერი, 2018	1,197,130	1,197,130
წლის სრული შემოსავალი	3,125,592	3,125,592
გადახდილი დივიდენდი	(1,226,479)	(1,226,479)
31 დეკემბერი, 2019	3,096,243	3,096,243

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე
 გენერალური დირექტორი



მეტო მადრაძე
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე			
კორექტირებები:		3,342,030	1,841,826
ცვეთა და ამორტიზაცია			
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	10	181,538	30,499
ფინანსური ხარჯი	12	54,364	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან	13	11,257	-
მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან		2,473	-
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	14	(261)	-
	15	937	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში			
ცვლილებებამდე:		3,592,338	1,872,325
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში		(19,106)	(10,727)
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,765,012)	(486,390)
ზრდა სავაჭრო ვალდებულებებში		1,064,002	88,410
(შემცირება)/ზრდა საგადასახადო ვალდებულებებში		(323,719)	306,049
ფულადი სახსრების შემოღება საოპერაციო საქმიანობიდან მოგების			
გადასახადისა და პროცენტების გადახდამდე:		2,548,503	1,769,667
გადახდილი პროცენტები		(11,257)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(139,920)	(150,196)
ფულადი სახსრების წმინდა შემოღება საოპერაციო საქმიანობიდან		2,397,326	1,619,471
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(437,037)	(145,115)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(420)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(437,037)	(145,535)
საფინანსო საქმიანობა			
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(84,213)	-
დივიდენდის გადახდა		(1,226,479)	(851,069)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში		(1,310,692)	(851,069)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა		649,597	622,867
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		(6,946)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	21	730,827	107,960
ფული და ფულის ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	21	1,373,478	730,827

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელის სახელით 2020 წლის 22 მაისს:

იოვანე სიხარულიძე
 გენერალური დირექტორი



ENGINEERING
 MONITORING
 GROUP

ნატო მაღრაძე
 მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 10-28 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.